მიმართება ღირებულებებსა და წინარწმენას შორის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისადმი

ნანა ტაბატაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა ტაბატაძე

22 ივნისი 2021 წელი

აბსტრაქტი

გამოჩენილი ფსიქოლოგის, ფილიპ ზიმბარდოს (2007) თანახმად, ადამიანის სისუტეებიდან ყველაზე დიდი და დამანგრეველი ძალა ადამიანის ღირსებასა და სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ წინასწარ დასწავლილ წარმოდგენებს გააჩნია. თანამედროვე ქართული საზოგადოების გარკვეულ წრეებში, დიდი პოპულარობით სარგებლობს გავრცელებული ლიბერალური შეხედულებები ადამიანის თანასწორ უფლებებზე, ასევე, ხშირად საუბრობენ ქართული კულტურისთვის დამახასიათებელ ისტორიულ თვისებებზე და ხაზგასმით აღნიშნავენ ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა ჰუმანურობა, მიმღებლობა, სტუმართმოყვარეობა, შემწყნარებლობა, მრავალი განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური მრწამსის წარმომადგენელთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოება ცდილობს, ფეხი აუწყოს თანამედროვე ტენდენციებს და არ ჩამორჩეს მსოფლიოს დემოკრატიულ პრინციპებს, წინარწმენების არსებობის საკითხი, რეალურად, კვლავ მწვავე პრობლემად გვევლინება (ხინჩაგიშვილი, 2013). სოციალური ფსიქოლოგები მთელ მსოფლიოში წინარწმენისა და დისკრიმინაციის სხვადასხვა თეორიის შესწავლის შედეგად, ცდილობენ, გამოავლინონ ის მექანიზმები, რომელიც ახსნის სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წამომარდგენელთა უგულებელყოფის ინდივიდუალური მზაობის დაფარულ მიზეზებს (Pettigrew & Wagner, 1998). წინარწმენათა ერთ-ერთი წყარო კი პიროვნულ ღირებულებებში შეიძლება, ვეძიოთ. აღნიშნული კვლევის მიზანი სწორედ ღირებულებებსა და წინარწმენას შორის კავშირის შესწავლაა ქართულ შერჩევაზე. კორელაციური დიზაინის გამოყენებით, კვლევა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებს

აქცევს ფოკუსში, რაც დამატებით რელევანტურობას იძენს ბოლო პერიოდში გახმაურებული ეთნო-კონფლიქტების ფონზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წინარწმენა, ღირებულებები, რელიგიური უმცირესობები, ეთნიკური უმცირესობები, სოციალური დისტანცია.

Abstract

In the words of the eminent psychologist, Philip Zimbardo (2007), among human weaknesses, the greatest and most destructive power lies in preconceived notions of human dignity and social relations. Liberal views on equal human rights are quite popular among certain circles in modern Georgian society, as well as refering to historical features of Georgian culture, emphasizing features such as humanity, hospitality, hospitality, tolerance, peaceful multi-ethnic and multi-religious coexistence. Despite the fact that the Georgian society tries to keep up with the modern trends and not to lag behind the democratic principles of the world, the issue of prejudice is, in fact, still a serious problem (Khinchagishvili, 2013). As a result of studying various theories of prejudice and discrimination, social psychologists all over the world try to study and identify the mechanisms that explain the hidden causes of individual readiness to neglect the representatives of different religious and ethnic minorities (Pettigrew &Wagner, 1998). Since one of the sources of prejudice, among other variables, might be found in personal values, the present study, using correlational design, aims at exploring the relationship the relationship between personal values and prejudice towards ethnic and religious minorities among Georgian sample, which has an additional relevance in the light of the recent high-profile ethnic conflicts.

Keywords: prejudice, values, religious minorities, ethnic minorities, social distance.

მადლობა

მადლობა მინდა ვუთხრა ილიას სახელმწიფო უნიერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს ანა მაყაშვილს, ხელმძღვანელობისთვის და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო კვლევის მონაწილეებს, ვინც ჩაერთო გამოკითხვაში და მიიღო მონაწილეობა.